1. საზიარო უფლებების ცნება და თავისებურებები (წინაპირობები)

კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების კარის პირველი თავი ეძღვნება საზიარო უფლებებს. უფლება საზიაროა, თუ ის რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის.საზიარო უფლების თითოეულ მონაწილეს აქვს თავისი წილი ამ უფლებაში და ისინი მოწილეებად იწოდებიან. საზიარო უფლებები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს მიეკუთვნება იმდენად, რამდენადაც საზიარო უფლების მოწილეებს უფლებები და ვალდებულებები კანონიდან წარმოეშობათ და მათ შორის ურთიერთობები კანონით წესრიგდება.თუმცა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმად, საზიარო უფლებები მიიჩნევა სანივთო სამართლის ინსტიტუტად. საზიარო უფლებები, როგორც აღინიშნა, უკავშირდება საერთო საკუთრებას, რომელსაც ეძღვნება ერთი ზოგადი ნორმა, ხოლო სხვა ურთიერთობები მიმობნეულია სამოქალაქო სამართლის სფეროებში. საზიარო უფლებები შეიძლება სხვადასხვა საფუძვლიდან წარმოიშვან, მაგალითად, კანონიდან, ხელშეკრულებიდან და სხვ. კანონით მემკვიდრეობისას მემკვიდრეთა შორის სამკვიდროზე საზიარო უფლება აქვთ. ამ შემთვევაში საზიარო უფლება კანონის ძალით წარმოიშობა. am gagebiT, saerTo sakuTreba kargad gamoixateba saziaro uflebebSi. TviT saerTo sakuTreba SeiZleba daiyos wilad da Tanaziar sakuTrebad. wiladi sakuTrebis dros TiToeul TanamesakuTres ekuTvnis gansazRvruli wili saerTo sakuTrebaSi, romlis gankargvis uflebac mas aqvs. Tanaziari sakuTrebis SenTxvevaSi TiToebuli mesakuTris ufleba vrceldeba mTel qonebaze. საიმისოდ, რომ უფლებები საზიაროდ განიხილებოდეს, აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა :

1)სამოქალაქო უფლება

mocemul SemTxvevaSi saqme exeba samoqalaqo uflebas anu samoqalaqo samarTliT aRiarebul piris SesaZleblobas moiTxovos rogorc movalisagan garkveuli moqmedebis ganxorcieleba an TavSekaveba, ise sakuTari interesebis dasacavad sasamarTlos daxmarebiT moqmedebis Sesruleba. aseve uflebaSi unda moiazrebodes piris SesaZlebloba TviTon ganaxorcielos

garkveuli moqmedeba. am uflebis gverdiT gvxvdeba sxvisi(მოწილის) movaleoba, romelic faqtobrivad uflebis Sesrulebaze iqneba orientirebuli. amdenad uflebasa da movaleobas Soris korelaciuri kavSiria. უდლებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც მისი შესაბამისი მოვალეობის არსებობა ივარაუდება; ufleba movaleobis gareSe kargavs iuridiul xasiaTs. ამდენად , აქ საქმე ეხება სამოქალაქო უფლებას, რომლის ფარგლები არ უნდა იყოს შეზღუდული მხოლოდ ვალდებულებითი ან სანივთოსამართლებრივი ურთიერთობებით. ის შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში. ამიტომაც საზიარო უფლებები არაა ვიწრო შინაარსის შემცველი ; საზიარო უფლებები შეიძლება გავრცელდეს სხვადასხვა ურთიერთობაზე, მაგალითად, საოჯახო ურთიერთობებზე (მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება). მემკვიდრეობით ურთიერთობებზე და ა.შ. ამდენად, საზიარო უფლებების მნიშვნელობა ფართოა.

2)რამდენიმე პირი

ურთიერთობა რომ განიხილებოდეს საზიარო უფლების ფარგლებში უნდა იყოს რამდენიმე პირი ვინაიდან სხვა შემთხვევაში გამოირიცხება საზიარო უფლების არსებობა.

3) ამ სუბიექტებს უნდა ეკუთვნოდეთ ეს უფლება

აუცილებელია დასახელებულ უფლებასა და სუბიექტებს შორის იყოს სამართლებრივი კავშირი ანუ უფლება უნდა ეკუთვნოდეს სუბიექტებს. მსგავსად სხვა კანონისმიერი ვალდებულებისა უფლების წარმოშობის საფუძველი არის კანონი, რომელიც არსებობს მონაწილეთა ნების გამოვლენის გარეშე.

4) კანონიდან არ უნდა გამომდინარეობდეს მოწესრიგების სხვა წესის გამოყენების შესაძლებლობა

საზიარო უფლებების ინსტიტუსის გამოსაყენებლად უნდა გამოირიცხოს ამ ურთიერთობის მოწესრიგების სხვა წესით

სარგებლობა, ვინაიდან თუ იარსებებდა ასეთი გზა, მაშინ მოცემული ურთიერთობის მიმართ გავრცელდებოდა სწორედ ეს წესი. ეს სპეციალური წესი შეიძლება გამოიხატოს სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერ საფუძველში.კანონისმიერ ვალდებულებათაგან, საზიარო უფლებები პირველ რიგში უკავშირდება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ დავალების გარეშე შემსრულებელს სხვისი საქმეების წარმართვის არც უფლებამოსილება აქვს და არც მოვალეობა, ხოლო საზიარო უფლების დროს მოვალეები თანაბრად არიან პასუხისმგებელნი საერთო საგანზე, თანაც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესები ვერ გამოიყენება, თუ შემსრულებელი ფიქრობდა, რომ საკუთარ საქმეს ასრულებდა.

2.საზიარო უფლებების განხორციელების წესი წილის განსაზღვრისას ნაყოფის მიმართ

საზიარო საგნიდან წარმოიშობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლება ნაყოფზე, ანუ ის შემოსავალი ან/და უპირატესობა, რაც ამ უფლების გამოყენების შედეგად მიიღება. ამასთან, უფლების ნაყოფად შეიძლება ჩაითვალოს შემოსავალიც და უპირატესობანიც, რომელთა მიღებასაც ეს უფლება უზრუნველყოფს სამართლებრივი ურთიერთობის მეშვეობით. თითოეულ მოწილეს წილის თანაზომიერად ეკუთვნის ნაყოფის წილიც. მაგალითად, თუ ერთ-ერთი მოწილის წილი შეადგენს ერთ მესამედს, ხოლო მეორესი ორ მესამედს, მაშინ საზიარო ქონებიდან მიღებული შემოსავლის ერთი მესამედი ეკუვნის პირველს, ხოლო ორი მესამედი- მეორეს. ამდენად , მოწილეთა წილების თანაფარდობა ეფუძნება პროპორციულობის პრინციპს.

საერთო საკუთრების შესახებ კონკრეტული ურთიერთობების დასახასიათებლად იყენებენ რეალურ და იდეალურ წილთა ცნებებს. რეალურ წილში მოიაზრება ნატურით გამოხატული საერთო საკუთრების განსაზღვრული წილი, რომელიც ფაქტობრივად შეიძლება გამოიყენოს თანამესაკუთრემ. ხოლო იდეალური წილის ცნება ემსახურება იმის ხაზგასმას, რომ თანამესაკუთრის წილი ვერ გამოიხატება ნატურით. ზოგადად, საერთო საკუთრების უფლებაში წილთან დაკავშირებით გამოყოფენ სამ მიდგომას:

ა) ე.წ. "იდეალური წილის" თეორიის მიხედვით წილი არის საერთო საკუთრებაში იდეალურად არსებული ნაწილი, რომელიც გამოხატავს ნივთის ღირებულებასა თუ სარგებლიანობას, ნივთის ან მისი ფასის პროცენტულ თუ წილად მდგომარეობას.

ბ) რეალური წილის თეორიის თანახმად, ქონების თოთოეულ თანამფლობელს აქვს წილი ქონებაში. ამ გაგების მრეველგვერობა არის წარმოდგენა წილზე, როგორც ნივთის ერთდროულად იდეალური და რეალური შემადგენელი ნაწილების ერთობლიობაზე.

გ) ე.წ. " უფლებაში წილის" თეორიის მიხედვით, წილი არის წილი უფლებაში: წილი საკუთრების უფლებაში, წილი ვალდებულებაში.

საზიარო საგნით სარგებლობისას თითოეულმა მოწილემ ისე უნდა ისარგებლოს ამ საგნით, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას. ეს დანაწესი ემსახურება უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვას, ე.ი. სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. კოდექსის ეს დანაწესი აწესრიგებს მოწილეთა შიდა ურთიერთობას. საზიარო საგანთან დაკავშირებით მოწილის ინდივიდუალური უფლება წილის გამოყენებაზე იზღუდება იმით, რომ სხვა მოწილეს არ უნდა მიაყენოს ზიანი. აქ საქმე ეხება ფაქტობრივ (და არა

სამართლებრივად შესაძლებელ) გამოყენებას. მოწილეებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საზიარო საგნის თავისებურებათა შესატყვისი მართვისა და სარგებლობის შესახებ. მაგალითად, როდესაც რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნით ავტომანქანა, მათ შეუძლიათ თითოეული მოწილისთვის დაადგინონ ამ ავტომანქანით სარგებლობის დღეები, ან მისი გამოყენების სხვაგვარი წესი . გადაწყვეტილება ასეთ შემთხვევაში მიიღება მოწილეთა ხმების უმრავლესობით (მაგალითად, თუ ერთ-ერთი მოწილის წილი შეადგენს ერთ მესამედს, მაშინ მას აქვს საერთო ხმების ერთი მესამედი). თუ საზიარო საგნის მართვისა და გამგებლობის შესახებ მოწილეები არ შეთანხმებულან, მაშინ თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს ყველა მოწილის ინტერესებს შესაბამისი მართვა და სარგებლობა. ამასთანავე, არ დაიშვება წილზე ცალკეული მოწილის უფლების შემცირება სხვა მოწილეთა გადაწყვეტილებით. მოწილის წილი შეიძლება შემცირდეს მხოლოდ მისი თანხმობით. საზიარო უფლება შესაძლოა გადავიდეს სხვა სხვა პირზე, მაგალითად, მემკვიდრეზე, წილის შემძენზე და სხვ. ასეთ შემთხვევებში უფლებამონაცვლის მიმართაც გამოიყენება საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, რომელიც მოწილეებმა განსაზღვრეს. შესაძლებელია როგორც წილის, ისე მთლიანად საგნის განკარგვა. საზიარო საგნის განკარგვისთვის საჭიროა ყველა მოწილის თანხმობა, ხოლო წილის განკარგვისას სხვა მოწილეთა თანხმობა საჭირო არ არის. წილის გამსხვისებელი შეზღუდულია მხოლოდ იმით, რომ სხვა მოწილეებს აქვთ გასასხვისებელი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. საზიარო საგნის მოვლა-პატრონობა და სარგებლობა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ხარჯთან. ასეთ შემთხვევაში თითოეული მოწილე ვალდებულია თავისი წილის თანაზომიერად აიღოს ხარჯები. მაგალითად, თუ ერთ-ერთი მოწილის წილი ერთი მესამედია, მაშინ მან უნდა გადაიხადოს მთლიანი ხარჯების ერთი მესამედი.

3. განსაზღვრეთ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ცნება და წინაპირობები

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტი კლასიკური რომის სამართალში იყო ცნობილი negotiorum gestio-ს სახელწოდებით. ის გულისხმობდა პირის მიერ ვალდებულების შესრულებას მხოლოდ მაშინ, თუ ეს გამოწვეული იყო სხვა პირისთვის იმ საფრთხის თავიდან აცილების აუცილებლობით, რომელიც მას მოელოდა. სხვისი საქმის წარმოება ეხებოდა როგორც მატერიალური, ისე სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტას. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტის ფორმირება და ახალი დროის სამართლებრივ სისტემებში შემდგომი განვითარება განაპირობა სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებმა, ადამიანთა შორის ურთიერთდახმარებისა და სოლიდარობის იდეამ, რომელსაც ეფუძნება კიდეც ეს ინსტიტუტი.

კანონისმიერ ვალდებულებათა შესახებ მეორე კარში მეორე თავი ეთმობა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას. მისი წარმოშობის საფუძველიც, მსგავსად სხვა კანონისმიერი ვალდებულებებისა, არის კანონი, თუმცა მათგან განსხვავდება სპეციფიკური თავისებურებებით.

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის(მეპატრონის), საქმეებს, ვალდებულია შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად. „საქმეების“ ცნების ქვეშ იგულისხმება შემსრულებლის მიერ როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული აქტების განხორციელება. „დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე სხვისი საქმეების შესრულება „ გულისხმობს, რომ შემსრულებელი სხვის საქმეებს წარმართავს, სხვის ქონებრივ სფეროში ერევა ისე, რომ საამისოდ

არც მოვალეობა აკისრია და არც უფლებამოსილება გააჩნია. სხვა შემთხვევაში პირს ამის უფლებამოსილება არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ კანონი მსგავს ჩარევებს აღიარებს, თუ ისინი განხორციელდა განსაზღვრულ ვითარებებში, მეპატრონის ინტერესებისათვის და შემსრულებლის კეთილი ნებით. რადგან საქმეების შესრულების ქვეშ იგულისხმება როგორც ფაქტობრივი , ისე იურიდიული აქტების განხორციელება, ამგვარი აქტების შემსრულებელი პიროვნება განსაზღვრულ სამართლებრივ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს - ფაქტობრივი მოქმედებები შეიძლება ქმედუუნარო პირმაც განახორციელოს. ამასთან, შემსრულებელი და მეპატრონე შესაძლპა იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება წარმომადგელობის ინსტიტუტისგან განასხვავებს ის, რომ წარმომადგენელი პრინციპალის თანხმობით და სახელით ასრულებს იურიდიულ მოქმედებებს, მაშინ როცა გესტორი მეპატრონის ინტერესებისთვის საკუთარი სახელით ახორციელებს როგორც ფაქტობრივ, ისე იურიდიულ აქტებს.

შემსრულებლის მდგომარეობა განსხვავდება დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული რწმუნებულის მდგომარეობისაგან, რადგან რწმუნებული მოქმედებს, თუმცა საკუთარი სახელით, მაგრამ მარწმუნებლის დავალებით მინიჭებული უფლებამოსილებით. შემსრულებლის მდგომარეობა რწმუნებულისას მხოლოს მას შემდეგ დაემთხვევა, რაც მეპატრონე გაიგებს და მოიწონებს შემსრულებლის დაწყებულ საქმეს. ისიც შესაძლებელია, რომ რწმუნებულის მოქმედებამ სხვიხი საქმეების შესრულების ფორმა მიიღოს, თუ რწმუნებული გასცდება მანდატით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს.

შემსრულებლის მდგომარეობა განსხვავდება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კრედიტორის მდგომარეობისგან, თუმცა მათი საბოლოო მიზნები მსგავსია. მესამე

პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კრედიტორს სურს ხელშეკრულებიდან შეიძინოს საკუთარი უფლებები, მაშინ როცა გესტორი ასეთ მიზნებს არ ისახავს. შესაძლოა ისიც, რომ გესტორი ცდებოდეს მეპატრონის პოროვნების ვინაობაში. მოცემულ შემთხვევაში სახეზე მაინც სხვისი საქმეების შესრულება იქნება.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება თავისთავად შეიცავს წინააღმდეგობრივ მომენტს. ერთი მხრივ, საქმე გვაქვს გესტორის მიერ მეპატრონის უფლებების სფეროში თვითნებურ ჩარევასთან; მეორე მხრივ, ეს ჩარევა ხორციელდება მეპატრონის ინტერესებისთვის. კანონის მიზანია ზოგადი სოციალური ინტერესი დაიცვას ისე, რომ ხელინ არ შეუშალოს გესტორის კეთილშობილ საქმიანობას. ამასთან, დაოცვას მეპატრონის პიროვნება და ქონება უცხო პირთ ზიანის მომტანი თვითნებობისგან. ამ ამოცანების განსახორციელებლად კანონი ადგენს სავალდებულო მოთხოვნებს როგორც გესტორის, ისე მეპატრინისთვის.

კანონი უპირვლეს მოთხოვნად მიიჩნევს - სხვისი საქმეების შემსრულებელი მოქმედებდეს კეთილსონდისიერად, ანუ ისე, როგორც მოცემულ საქმეს კარგი მეპატრონე ან მისი დავალებით სხვა პირი წარმართავდა.

> იურიდიულ მეცნიერებაში განასხვავებენ ნამდვილ და არანამდვილ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას. თუ საქმის მწარმოებელი მოქმედებს სხვისი ინტერესებისთვის საქმე ეხება ნამდვილ ნეგ.გესტიო-ს რომლის სპეციფიკის დასადგენად აუცილებელია მისი წინაპირობების გაცნობა. თვით ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება შეიძლება იყოს როგორც მართებული, ისე არამართებული. ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმების შესრულების მომწესრიგებელი ნორმების გამოსაყენებლად უნდა შემოწმდეს შემდეგი წინაპირობები:
>
> **ა) სხვისი საქმე**

სხვა პირისათვის ეს წინაპირობა სახეზეა, როდესაც შემსრულებელი საქმეებს ასრულებს არა (მხოლოდ) როგორც საკუთარს, არამედ (ასევე) როგორც სხვა პირისას. ამ დროს უმაღლესი ფედერალური სასამართლო ერთმანეთისაგან განასხვავებს ობიექტურ და სუბიექტურ სხვა პირის, ისევე როგორც „ასევე-სხვა პირის" საქმეებს, რომელთა შემთხვევაშიც სასამართლო პრაქტიკა ცალსახად ნათელი არ არის: ა) ობიექტურ სხვა პირის საქმეებს მიეკუთვნება ისეთი საქმიანობა, რომელიც უკვე თავისი ბუნებითა თუ თავისი გარეგნულად გამოხატული ფორმით შედის სხვა პირის უფლებათა და ინტერესთა სფეროში, მაგ.: დახმარების გაწევა, საფრთხის თავიდან აცილება, სხვა პირის ვალის გადახდა. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ობიექტურ სხვა პირის საქმეების შემთხვევაში, სხვისი საქმეების შესრულების ნება ივარაუდება; ბ) ობიექტურად საკუთარი ან ნეიტრალური საქმეები მხოლოდ გარეგნულად შესამჩნევი სხვა პირისათვის მოქმედების შედეგად (სუბიექტური სხვა პირის საქმეები). ამ შემთხვევაში სხვა პირის საქმეების შესრულების ნების პრეზუმფცია არ არსებობს; გ) ე. წ. „ასევე-სხვა პირის" საქმეების შემთხვევაში, რომლებიც, თავიანთი გარეგნული სახის მიხედვით, სასარგებლოა არა მხოლოდ შემსრულებლისათვის, არამედ ასევე მესამე პირისათვისაც, – სხვა პირის საქმეების ერთდროულად შესრულების ნება კვლავ ივარაუდება. მაგ.: სასამართლო პრაქტიკის მიერ (1) ხანძრის ჩაქრობა მუნიციპალური სახანძრო სამსახურის მეშ- ვეობით ჩაითვლება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად ხანძრის გამომწვევის მიმართ და (2) წესების დარღვევით პარკირებული ავტომანქანის გადატანა საჯარიმო ავტოსადგომზე პოლიციის დავალების საფუძველზე მოქმედი კერძო მეწარმის მიერ შეიძლება განხილულ იქნეს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად ავტომანქანის მფლობელის მიმართ;

b) davalebis gareSe

დავალების ან სხვაგვარი უფლებამოსილების გარეშე. საქმეების შესრულებაზე სხვაგვარ კანონისმიერ უფლებამოსილებას ენიჭება უპირატესობა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელ ნორმებთან შედარებით. უფლებამოსილება შეიძლება გამომდინარეობდეს ნებისმიერი გარიგებიდან (გამოთქმა ,,დავალების გარეშე'' გაგებულ უნდა იქნეს ვიწროდ), საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობებიდან, ისევე როგორც თანამდებობისა თუ ორგანოს მდგომარეობიდან. დახმარების გაწევის ზოგადი მოვალეობა არ არის უფლებამოსილება, ზემოაღნიშნული გაგებით; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმები უფრო გამიზნულია მსგავსი სიტუაციების გასათვალისწინებლად.

g) survili

სხვისი საქმეების შესრულების ნება. დავალების გარეშე სხვისი, როგორც საკუთარი საქმეების შესრულების (ასევე ეწოდება სხვისი საქმეების შესრულება ან ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება) შემთხვევაში, მართალია, შემსრულებელმა იცის, რომ იგი ასრულებს სხვა პირის საქმეს (შემეცნებითი ელემენტი), თუმცა, მას მისი შესრულება სურს არა დაინტერესებული პირისათვის (მიზნობრიობის ელემენტი), არამედ იგი საქმის შესრულებიდან სარგებელს თავისთვის იტოვებს. ტიპურ შემთხვევებს მიეკუთვნება სხვა პირის აბსოლუტური უფლებების დარღვევა, როგორიცაა, მაგ., სხვა პირის კუთვნილი ნივთებით სარგებლობა ან მათი გასხვისება. სახეზე უნდა იყოს ობიექტურად სხვა პირის საქმე. ობიექტურად ნეიტრალური საქმეები მხედველობაში არ მიიღება, ვინაიდან ისინი სხვისი საქმეების შესრულების ნებით, რომელიც სხვისი საქმეების შესრულებისას არ არსებობს, სხვა პირის საქმეები ხდება; ნამდვილი

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელი; ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ პოზიტიური ცოდნა აუცილებელია, ხოლო წმინდა გაუფრთხილებლობის შემთხვევაში მოქმედებს პირველი ნაწილი. თუმცა, საკმარისია იმის ცოდნა, რომ საქმე შეიძლება შეცილებულ იქნეს (უკუქცევითი ძალით). მაგ.: ა იძენს სურათს ბ-სგან 1500 ევროდ იძულების მეშვეობით. მას შემდეგ, რაც ა-მ სურათი სხვა პირს მიჰყიდა 110 000 ევროდ, ბ-მ წარადგინა სარჩელი პირველი გარიგების წინააღმდეგ. ა შემდგომი გაყიდვის დროს არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა.

d) mesakuTris interesebi an neba

სამართლებრივი შედეგები: შემსრულებლის პასუხისმგებლობასთან ერთად, ზოგადი ნორმების თანახმად, საკუთარი საქმეების შესრულებისას მოთხოვნის უფლებები გამომდინარეობს მხოლოდ დაინტერესებული პირის არჩევანის მიხედვით: თუ ის საქმეს თავის თავზე იღებს (პირდაპირ ან კონკლუდენტური მოქმედებით შესაბამისი მოთხოვნის უფლებების წარდგენით), მაშინ ვალდებულია შემსრულებლის წინაშე მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად. ამ მითითებაზე (დაინტერესებული პირი ვალდებულია შემსრულებლის წინაშე მიღებულის დაბრუნებასთან დაკავშირებით), რომლის მიხედვითაც, პირიქით, შემსრულებელმა უნდა დაუბრუნოს მიღებული დაინტერესებულ პირს, – მოცემულ მითითებას შორის ერთგვარი წინააღმდეგობა უნდა გადაწყდეს უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული იმ საერთო შეხედულების თანახმად, რომ დაინტერესებული პირი ვალდებულია მხოლოდ ხარჯების ანაზღაურებაზე, უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად, როდესაც შემსრულებელმა

უნდა დააბრუნოს საქმეების შესრულების შედეგად მიღებული სარგებელი. ხშირად მოთხოვნის უფლების მიმართ ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში, სარგებლის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას აქვს ის უპირატესობა, რომ იგი, უდავოდ, ვრცელდება ასევე შემსრულებლის მიერ მიღებულ შემოსავალზე, რომელსაც დაინტერესებული პირი ვერ მიიღებდა.

4. დაახასიათეთ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სახეები

განასხვავებენ არანამდვილ და ნამდვილ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას. თუ საქმის მწარმოებელი მოქმედებს ზოგადად სხვისი ინტერესისთვის, საქმე ეხება ნამდვილ neg. gestio-ს, რომლის სპეციფიკის დასადგენად აუცილებელია მისი წინაპირობების გაცნობა.
სსკ-ის 969-ე მუხლის საფუძველზე, ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წინაპირობებია: ა) სხვისი საქმე; ბ) საქმეების შესრულება; გ) დავალების ან სხვაგვარი უფლებამოსილების არარსებობა; დ) სხვის სასარგებლოდ საქმეების კეთილსინდისიერად შესრულების ნება. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების არსებობისათვის უმნიშვნელოა, ცნობილია თუ არა შემსრულებლისთვის ამ დაინტერესებული პირის ვინაობა, ან იგი ცდება თუ არა მასში. ამასთან, მსგავსად დავალებისა, სხვისი საქმეების წარმოება უნდა იყოს ფართოდ განხილული; იგი მოიცავს სხვა პირისთვის სასარგებლო ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც მიმართულია როგორც გარიგების დადებისკენ, ისე სხვა მიზნისკენ, იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი გრძელდება მცირე ხანს.
ამასთან, სხვისი საქმეების დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე შესრულება გულისხმობს შემსრულებლის მიერ სხვისი საქმეების ისე წარმართვასა და სხვის ქონებრივ სფეროში ჩარევას, რომ საამისოდ არც მოვალეობა აკისრია და არც უფლებამოსილება აქვს. ჩვეულებრივ პირობებში ასეთ პირს არ უნდა ხელეწიფებოდეს

სხვისი საქმეების შესრულება, მაგრამ კანონი მსგავს ჩარევებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, თუ ის შეესაბამება მეპატრონის ინტერესებს და საქმე განხორციელდა შემსრულებლის კეთილი ნებით.
საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ განსახილველი ინსტიტუტით უზრუნველყოფილია მესაკუთრის ინტერესები, ვინაიდან სხვისი საქმეების შემსრულებელი მოქმედებს იმისთვის, ვისი საქმეც დასაცავია. ასევე, გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება ვითარება მოითხოვდეს დომინუსის მიერ უნებართვოდ სხვის სამართლებრივ ან კერძო სფეროში შეჭრას, თუმცა განხორციელებული ჩარევა მესაკუთრისთვის გარკვეულწილად იყოს (1) სასურველი და, შესაბამისად, გამართლებულიც (ზიანის თავიდან აცილების გამო).
შემსრულებლის მოქმედება, რომელიც სხვის ინტერესისთვის ხორციელდება, უნდა ეფუძნებოდეს კეთილსინდისიერების საწყისს. ამიტომაც მთავარია, რომ შემსრულებელი მოქმედებდეს სხვის სასარგებლოდ ნებაყოფლობით და დავალების გარეშე უანგაროდ, რაც ალტრუისტულ მიზანს ემსახურება. ზოგადად, ალტრუისტული მოქმედებების წრე უნდა უმადლოდეს ადამიანთა საზოგადოებრივი და ინტელექტუალური განვითარების წარმატებებს. ფაქტობრივად, შემსრულებელი შეიძლება განიხილებოდეს ალტრუისტად, რომელიც ალტრუიზმით გამსჭვალული სუბიექტია. საქმე ისაა, რომ ალტრუიზმში [ფრანგ. altruism] მოიაზრება უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის, მზადყოფნა, სხვას შესწირო პირადი ინტერესები.
ამასთან, კეთილსინდისიერება მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლება; მისი სამართლებრივი შინაარსი გაცილებით ფართოა და მოიცავს სსკ-ის 969-ე მუხლით განსაზღვრულ შემსრულებლის ვალდებულებას, თვითონ შეასრულოს საქმეები არა მხოლოდ კეთილსინდისიერად და მეპატრონის ინტერესების დაცვიდან გამომდინარე, არამედ შეატყობინოს და დროულად

წარუდგინოს გაწეული სამუშაოს ანგარიში. დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოებისას შემსრულებლის ჩარევა მეპატრონის ქონებრივ სფეროში, მართალია, ნებაყოფლობით ხორციელდება, მაგრამ ამგვარ ჩარევას გონივრული და ობიექტური საფუძველი უნდა გააჩნდეს; აუცილებელია, რომ კონკრეტული საქმის შესრულება თვითნებობას არ ეფუძნებოდეს; ის უნდა შეესაბამებოდეს მეპატრონის ინტერესებს და ამ საქმის შესრულება სწორედ მეპატრონისათვის უნდა იყოს სასიკეთო. ამიტომ მეპატრონე მოვალეა, გესტორს (შემსრულებელს) აუნაზღაუროს საქმეების შესრულებისას გაღებული ხარჯი, მაგრამ იმ დათქმით, რომ ანაზღაურდება არა ყველა სახის ხარჯი, არამედ მხოლოდ ის, რაც აუცილებლად იქნება მიჩნეული და ისიც იმ შემთხვევაში, თუ დაცულია სსკ-ის 970-ე-974-ე მუხლის მოთხოვნები. ზემოგანხილულიდან გამომდინარე, ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმების გამოსაყენებლად, სსკ-ის 969-ე და 973-ე მუხლების მიხედვით, უნდა შემოწმდეს შემდეგი წინაპირობები: ა) სხვისი საქმე; ბ) საქმეების შესრულება; გ) დავალების ან სხვა საფუძვლის არარსებობა; დ) მეპატრონის ინტერესებისა და ნამდვილი ან სავარაუდო ნების შესაბამისად საქმეების კეთილსინდისიერად შესრულება. რაც შეეხება არანამდვილ neg. gestio-ს, ის ასახულია სსკ-ის 975-ე მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია, რომ თუ პირი ასრულებს საქმეს იმ ვარაუდით, რომ ეს მისი საქმე იყო, მაშინ არ გამოიყენება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების თავით დადგენილი წესები (საკუთარი საქმის შესრულების ვარაუდი).

5. უსაფუძვლო გამდიდრების ცნება და ზოგადი თავისებურებები

უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულება განიხილება კანონისმიერი ვალდებულების ერთ-ერთ სახედ, რომელიც გულისხმობს პირის ქონების დაზოგვას, ან გაზრდას სახელშეკრულებო და კანონისმიერი საფუძვლის გარეშე. აღნიშნული შეიძლება გამოვლინდეს

სხვა პირისათვის ქონების გადაცემით, სხვისი ქონების გამოყენებით, სხვის ნაცვლად რაიმე მოქმედების (ფსევდოვალდებულების) შესრულებით და ა. შ.

რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა, ან შეწყდა შემდგომში; ბ. ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

ამდენად, შესრულების ან სხვა გზით გამდიდრება უნდა არსებობდეს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რასაც თავად კანონი განსაზღვრავს. თუ არსებობს შესაგებელი, რომელიც ვალდებულებას გამორიცხავს, აღნიშნული მაინც არ უსპობს ფსევდოკრედიტორს შესრულების უკან დაბრუნების მოთხოვნას. ესე იგი, ვალდებულება მართლაც არსებობს, თუმცა მასზე უფლება არამართლზომიერადაა (უსაფუძვლო გამდიდრების თუ დელიქტის შედეგად) მიღებული, რაც ფაქტობრივად ნიშნავს მის არარსებულად განხილვას. ეს შესაგებელი არაა დროებითი და კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე გარემოება; ის ზოგადი და დროით შეუზღუდავი ხასიათისაა. კანონის დონეზე ეს გარემოება ასახულია ასე: „... ხანგრძლივი დროის განმავლობაში...“ იურიდიულ ლიტერატურაში სავსებით ლოგიკურად გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს გარკვეულწილად უხერხულობას წარმოშობს, ვინაიდან შეიძლება ისე იყოს აღქმული, თითქოს გარკვეული დროის შემდეგ ეს შესაგებელი შეიძლება მოიხსნას, ხოლო მოთხოვნა წარდგენილ იქნეს, რაც, მაგალითად, ქურდობის შემთხვევაში გამორიცხულია ამ კონკრეტული მოთხოვნისთვის.

უსაფუძვლო გამდიდრების სპეციფიკის შესასწავლად აუცილებელია

მისი წინაპირობების დადგენა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კონდიქციიდან წარმოშობილი ყველა მოთხოვნის უფლების საერთო ნიშანია ის, რომ უსაფუძვლო გამდიდრებით მოვალემ მიიღოს ქონებრივი სარგებელი ამ ცნების ფართო გაგებით. ნებისმიერ უფლებას შეიძლება შეეხოს უსაფუძვლო გამდიდრება, ეს იქნება სანივთო თუ ვალდებულებითი ხასიათის.

ასევე, საგულისხმოა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანია გაუმართლებლად შეძენილი ქონების (შეღავათის, უპირატესობის, უფლების) ამოღება და ამგვარად ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობის აღდგენა. კონდიქციური ვალდებულებების ფუნქციაა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და სამოქალა-ქოსამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვა.

სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, პირმა შეიძლება სარგებელი მიიღოს მხოლოდ სამართლებრივი (სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ანუ კანონისმიერი) საფუძვლით. სარგებლის მიღების უფრო გავრცელებული სახეა სახელშეკრულებო საფუძველი, თუმცა, პრაქტიკაში ასევე შეიძლება სარგებელი მიღებული იყოს კანონის საფუძველზე. ზემოთ დასახელებული ასპექტების გათვალისწინებით, უსაფუძვლო გამდიდრების ძირითად თავისებურებებად ითვლება:

ა) სარგებლის მიღება. უსაფუძვლო გამდიდრების დროს სარგებელი მიიღება სხვისი ქონების ხარჯზე პირადი ქონების გაზრდით ან დაზოგვით.

ბ) პირმა სარგებელი შეიძლება მიიღოს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. სუბიექტმა უსაფუძვლოდ სარგებელი შეიძლება მიიღოს როგორც სუბიექტთა ნებით, ისე მათი ნებისაგან დამოუკიდებლად. თუ უსაფუძვლო გამდიდრება ემყარება მხარეთა, ან მხარის ნებას, როგორც

შემსრულებლის ისე მიმღების მხრიდან, მაშინ, უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს იმისა, რომ პირმა (პირებმა) მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად იმოქმედონ, რაც თავისთავად სამართლებრივ შედეგებზეც აისახება. ამასთან, როცა პირი უსაფუძვლოდ მიიღებს სარგებელს, მისგან მიღებულის უკან დაბრუნების ვალდებულება შეიძლება შესრულდეს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე. თავის მხრივ, უსაფუძვლოდ მიღებული სარგებლის დაბრუნების ვალდებულების აღსრულება სხვადასხვა გარემოებებას უკავშირდება. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება და საფუძვლიანობა დამოკიდებულია ზემოთ მოცემული გარემოებების კუმულაციური წესით არსებობაზე.

აქვე საგულისხმოა, რომ უკან დაბრუნების ვალდებულების შესასრულებლად არ უნდა არსებობდეს ამ მოთხოვნის გამომრიცხველი გარემოებები, რომლებიც კანონმდებელმა კეთილსინდისიერების განხორციელებას დაუკავშირა. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია კანონით განსაზღვრულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ შესრულება ზნეობრივ მოვალეობებს შეესაბამება;
ბ) გავიდა ხანდაზმულობის ვადა;
გ) ასევე მიმღების ვარაუდის შემთხვევაში იმასთან დაკავშირებით, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა უკან დაბრუნების მოთხოვნის პირობები;
დ) მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალო ხელშეკრულების შესრულებისას ეწინააღმდეგება ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას.
საგულისხმოა, რომ ზოგადად უსაფუძვლო გამდიდრების არსებობის დროს პირი იღებს (იძენს) ქონებას შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც აღნიშნული შენაძენი ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას. შესაბამისად, უსაფუძვლო გამდიდრების

ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. მოცემული წესი ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრების ძირითად ფუნქციას განსაზღვრავს, კანონმდებელმა დაადგინა, რომ მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალო ხელშეკრულების შესრულებისას უნდა შეესაბამებოდეს ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოირიცხება უკან დაბრუნების მოთხოვნა.

6. შესრულების კონდიქცია და მისი გამომრიცხველი გარემოებები

გაბატონებული შეხედულების მიხედვით, განასხვავებენ უსაფუძვლო გამდიდრების ორ ჯგუფს: შესრულებისა და შეუსრულებლობის კონდიქციებს.

რომის სამართლიდან ცნობილია, რომ ვალის არსებობისას შესრულების მოთხოვნის შესახებ კონდიქციურ სარჩელს ერქვა Condictio Indebeti (ამართებული მიღება). ის გამოიხატებოდა არარსებული ან ისეთი ვალის გადახდაში, რომელიც ერგებოდა არა გადამხდელისგან, არამედ სხვა პირისგან, ან არა მიმღების, არამედ სხვა სუბიექტის სასარგებლოდ. თუ გამდიდრებული პირის არაკეთილსინდისიერ მოქმედებას მოჰყვებოდა უსაფუძვლო გამდიდრება, მაშინ მას უნდა აენაზღაურებინა მიყენებული ზიანი სრულად, მაგრამ თუ უსაფუძვლო გამდიდრება არ იყო გამოწვეული გამდიდრებული პირის არაკეთილსინდისიერი მოქმედებით, მას ევალებოდა მხოლოდ უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნება და ამით საქმე დასრულდებოდა.ამდენად, უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულება გულისხმობდა ფსევდოკრედიტორის სასარგებლოდ შეცდომით განხორციელებულ შესრულებასა და შემსრულებლის მხარეზე

სამოქალაქოსამართლებრივი მოთხოვნის წარმოშობას, რათა ამ უკანასკნელს გამოეთხოვა შესრულების შედეგი. დაზარალებულს ფსევდოკრედიტორისგან იცავდა კონდიქციური სარჩელი. დღეს შესრულების კონდიქცია გულისხმობს მიზანმიმართული, თუმცა წარუმატებელი გადაცემული ქონებრივი ღირებულების დაბრუნებას საწყის მდგომარეობაში. შესაბამისად, შესრულების კონდიქციის ფუნქცია ისეთივეა, როგორიცაა ხელშეკრულებიდან გასვლის მომწესრიგებელი ნორმების, რომელთაგანაც ის, ძირითადად, განსხვავდება თავისი შემსუბუქებული პასუხისმგებლობის მასშტაბით. უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულებიდან გასვლისას ვალდებულების სამართლებრივი საფუძველი (ხელშეკრულება) ძალაში რჩება და საუბარი ეხება მხოლოდ მისი შესრულების დარღვევას. ხელშეკრულებიდან გასვლა არ იწვევს პირვანდელი ხელშეკრულების ბათილობას. რაც შეეხება კონდიქციურ ვალდებულებას, აქ ვალდებულების სამართლებრივი საფუძვლის ბათილობა განაპირობებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. ამასთან, პირველ შემტხვევასი მოვალეს შეიძლება დაეკისროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც, ხოლო უსაფუძვლო გამდიდრების დროს, როგორც წესი, პასუხისმგებლობა შეიძლება შემოიფარგლოს მხარეთათვის მიღებულის უკან დაბრუნებით.

შესრულების კონდიქციის წინაპირობებია: ა) რაიმეს შეძენა; ბ) ვითომ კრედიტორის შესრულების შედეგად გამდიდრებულის მიერ ქონებრივი სარგებლის მიღება; გ) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენა. „რაიმეს გადაცემა“ უკავშირდება ნებისმიერი სარგებლის მომტან სამართლებრივ სიკეთეს, კერძოდ, სანივთო ან პირადი უფლების შეძენას: საკუთრების, გირავნობის უფლება, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება, ასევე, რაიმე უფლების მომავალში მიღების უფლება, მფლობელობა, ვალებისგან განთავისუფლება, ვალის შემცირება (მაგალითად, კრედიტორის უარი თავის მოთხოვნაზე). ამასთან, ქონებრივი

შეღავათია ქონების დაზოგვაც. შესრულებაში მოიაზრება „სხვა პირის ქონების გაცნობიერებული და მიზანმიმართული გაზრდა.“ აქ არსისმიერია, უპირველეს ყოვლისა, შესრულების ცნების ფუნქციის განსაზღვრა. „სამართლებრივი საფუძვლის გარეშე“ ცნება ადგენს უსაფუძვლო გამდიდრების შენარჩუნების შესაძლებლობას. შესრულების კონდიქციის დროს არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, როდესაც ქონების (გაცნობიერებული) გაზრდით დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული. რამდენადაც მიზანი განსაზღვრულია, სამართლებრივი საფუძვლის დაკარგვის საკითხი დამოკიდებელი ხდება შესრულების კონდიქციის სახეებზე. შესრულების კონდიქციის დროს სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს შემდეგ შემთხვევებში, სახელდობრ: თუ გარიგება გაბათილდა ან სხვა საფუძვლის გამო არაა, ასევე, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. მაგალითად, ჩუქების საფუძველზე პირმა მიიღო ნივთი, მაგრამ ჩუქების გაბათილება უკავშირდება ვალდებულების არარსებობას და მიღებული ექვემდებარება დაბრუნებას. შესრულების კონდიქციას აფართოებს განგრძობადი შესაგებლიდან წარმო-შობილი კონდიქცია, რამდენადაც ის სამართლებრივი საფუძვლის პირველდაწყებითად არარსებობას უტოლებს განგრძობად შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში შესაგებელს უნდა ჰქონდეს განგრძობადი და არა დროებითი (ეპიზოდური) ხასიათი. გადამწყვეტია, რომ შესაგებელი შესრულების დროს არსებობდეს და შესაძლებელი იყოს მისი წარდგენა.

ამდენად, შესრულების უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად მიღებული შესრულებული უნდა დაბრუნდეს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები: ა) რაიმეს შეძენა; ბ) ვითომ კრედიტორის შესრულების შედეგად გამდიდრებულის მიერ ქონებრივი სარგებლის მიღება; გ) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენა და დ) არ უნდა იყოს გამორიცხული უკან გამოთხოვა.